ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 495

29 დეკემბერი
"---" -------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2016 წელს შტატგარეშე მოსამსახურეებისთვის ხელშეკრულებით ასაყვანად წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლისა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. 2016 წელს შტატგარეშე მოსამსახურეების ხელშეკრულებით ასაყვანად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის დაწესდეს წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით: ფრაქცია რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით 60000 (სამოციათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარი). იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი გაიზარდოს 1300 (ერთიათასსამასი) ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისაზღვროს შესაბამისი პროპორციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2015 წელს შტატგარეშე მოსამსახურეებისთვის ხელშეკრულებით ასაყვანად წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N230 განკარგულება.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ.N6).

4. განკარგულება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი